საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე N 1

ID 228422341

ProCredit Bank Georgia

გადამხდელის დასახელება	შპს "ფაზისი"	თანხა ციფრებით
პირადი #/ საიდენტიფიკაციო კოდი	208156412	3,000.00
ანგარიშის ნომერი	360201010200002	თანხა სიტყვებით
გადამხდელის ბანკი	სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი: MIBGGE22	სამი ათასი ლარი 00 თეთრი

საბიუჯეტო/სსიპ-ის სასარგებლოდ გადახდა		
დასახელება	შპს "ფაზისი"	☐ სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო)
პირადი #/ საიდენტიფიკაციო კოდი	208156412	სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 09:30 სთ-დან 16:00 სთ-მდე
მიმღების დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში / არასაგადასახადო შემოსულობები / თბილისი	ბანკის აღნიშვნები
ანგარიში / სახაზინო კოდი	300773263	ბანკში შემოსვლის თარიღი
მიმღების ბანკი / ხაზინა	სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22	04.04.2012 17:27
გადახდის დანიშნულება	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო, დადგენილება 001641.	
დამატებითი ინფორმაცია		ხელმოწერა
ხელმოწერები	ბეჭდის ადგილი	
	თარიღი: 04.04.2012	

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7

ტელ.: 378501, 378396

№ 4-1/ე 2 0 6 - 12 22 03 2012 წ.

დადგენილება №001641
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

22.03.2012წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსმა ზვიად კერვალიშვილმა განვიხილე 2012 წლის 23 თებერვლის №001641 მითითება და 2012 წლის 12 მარტის №001641 შემოწმების აქტი შედგენილი შ.პ.ს. "ფაზისი"-ს (მის.: ქ. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20, ნაკვეთი №002/032) მიმართ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის "ა" პუნქტის „ა.ა." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, რკინიგზის ჩიხი №20, ნაკვეთი №002/032-ში შ.პ.ს. "ფაზისი"-ს მიერ განხორციელდა სასაწყობო შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/2020 27.07.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით. კერძოდ, ±0.00 ნიშნულზე „ე-დ" და „დ-ე" მონაკვეთებში შეცვლილია ფანჯრის ნახატები, ხოლო „ა-ბ" მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი და მოწყობილია ბაქანი. „ა-ბ" მონაკვეთში +3.82 ნიშნულზე გაზრდილია კარის ღიობის სიგანე, დაახლოებით 0.48-ით. შეცვლილია ფანჯრის ნახატები. „1-4" ფასადზე შეცვლილია გარე კიბის გაბარიტი და კონფიგურაცია. შეცვლილია მოაჯირის და ფანჯრის ნახატები. შეცვლილია კარის გაბარიტი, ხოლო კარ-ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია კარის ღიობი. გარე კიბის და ბაქნის თავზე მოწყობილია ლითონის მსუბუქი გადახურვა. შემცირებულია სახურავის სიმაღლე, დაახლოებით 0.25მ-ით, ხოლო სახურავი გადმოსულია შენობის კონტურიდან, დაახლოებით 0.2მ-ით. „4-1" ფასადზე მოწყობილია ორი კონდიციონერი. „ე-ა" ფასადზე მოწყობილია ერთი კონდიციონერი.

სამსახურის სპეციალისტის მიერ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2012 წლის 23 თებერვალს გაცემული მითითება №001641 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 2012 წლის 24 თებერვალს), რომლითაც განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2012 წლის 12 მარტს "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001641 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 2012 წლის 12 მარტს), რომლითაც დაფიქსირდა მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2012 წლის 15 მარტს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე არ გამოცხადდა შ.პ.ს. "ფაზისი"-ს წარმომადგენელი.

ობიექტი გადამოწმებულ იქნა სამსახურის მთ. სპეციალისტის ქ. გიორგობიანის მიერ, რომელმაც დაადგინა მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

ზემოთადნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "ფაზისი"-ს დაევალოს მიერ ჩადენილია "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-მუხლის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, რკინიგზის ჩიხი №20, ნაკვეთ №002/032-ში შ.პ.ს. "ფაზისი"-ს მიერ განხორციელდა სასაწყობო შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/2020 27.07.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით. კერძოდ, ±0.00 ნიშნულზე „გ-დ" და „დ-ე" მონაკვეთებში შეცვლილია ფანჯრის ნახატები, ხოლო „ა-ბ" მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი და მოწყობილია ბაქანი. „ა-ბ" მონაკვეთში +3.82 ნიშნულზე გაზრდილია კარის ღიობის სიგანე, დაახლოებით 0.48-ით. შეცვლილია ფანჯრის ნახატები. „1-4" ფასადზე შეცვლილია გარე კიბის გაბარიტი და კონფიგურაცია. შეცვლილია მოაჯირის და ფანჯრის ნახატები. შეცვლილია კარის გაბარიტი, ხოლო კარ-ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია კარის ღიობი. გარე კიბის და ბაქნის თავზე მოწყობილია ლითონის მსუბუქი გადახურვა. შემცირებულია სახურავის სიმაღლე, დაახლოებით 0.25მ-ით, ხოლო სახურავი გადმოსულია შენობის კონტურიდან, დაახლოებით 0.2მ-ით. „4-1" ფასადზე მოწყობილია ორი კონდიციონერი. „ე-ა" ფასადზე მოწყობილია ერთი კონდიციონერი.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "შენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის მე-14 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-17 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-18 პუნქტით, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტითა და 23-ე მუხლის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ფაზისი" დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ფაზისი"-ს დაევალოს, "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ძალაში შესვლიდან 30 დღეში;

3000 ლარი

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ფაზისი"-ს დაეკალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით "დაკისრებულის ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში) დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი მ. კერვალიშვილი